ვირტუალური ვებინარი

„თემების განსაზღვრა: ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განვითარება საქართველოსთვის“

12 თებერვალს გაიმართა ვირტუალური ვებინარი მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესახებ, რომელიც ჩატარდა ევროკავშირის ტვინინგის პროექტის ფარგლებში - „ინტერსექტორალური თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის“.



პროექტის ბენეფიციარი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდია. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის პრიორიტეტებსა და გამოწვევებზე მუშაობაა. ასევე მეცნიერებასა და ბიზნესს შორის კავშირების გაძლიერება და ბიზნესის დაინტერესება სამეცნიერო პროექტებით.





სტრატეგიის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე განხილული იქნა მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საკითხები მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განვითარებასთან მიმართებაში.





საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან ვებინარში მონაწილეობა მიიღო სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის წარმომადგენელმა, ასოც. პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძემ.